



## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

---

### „ბაამიანი“

„ბაამიანი“, ძვ. ქართული მწერლობის ძეგლი, „შაჰნამეს“ ანუ „როსტომიანის“ ერთ-ერთი ქართული ვერსია.

საფუძვლად დაედო ფირდოუსის პოემის „შაჰნამეს“ ანონიმური მიბაძვა-გაგრძელება – ვრცელი პოემა „ბაჰმანამე“ (დაახლ. XII ს. I მეოთხედი), რ-შიც აღწერილია ისფენდიარის (ქართ. სპანდიატის) შვილის ბაჰმანის (ქართ. ბაამი) ბრძოლა როსტომის შთამომავლების, სისტანელი გმირების წინააღმდეგ. „ბაჰმანამე“ შეკვეცილ-შემოკლებული სახით მოგვიანებით „შაჰნამეს“ ინტერპოლირებულ ტექსტშიც შევიდა. „ბ.“ სწორედ ამ ადაპტირებული პოეტური ტექსტის ბუსტი პროზაული თარგმანია. შესრულებული უნდა იყოს XVI ს-ში სპარს. ენის კარგად მცოდნე პირის მიერ. თარგმანი სტილისტურად საკმაოდ გამართულია, სპარს. მხატვრული ხერხები უცვლელადაა დატოვებული.

„ბ.“ აღორძინების ხანის საყურადღებო ლიტ. ძეგლია. მოღწეულია ერთადერთი ნაკლული ხელნაწერით. ტექსტი: „შაჰ-ნამეს“ ქართული ვერსიები, დ. კობიძის რედ., [ტ.] 3, თბ., 1974.

ლიტ.: კ ე კ ე ლ ი ძ ე კ., ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 2, თბ., 1981; კ ო ბ ი ძ ე დ., „შაჰ-ნამეს“ ქართული ვერსიების სპარსული წყაროები, თბ., 1959.

**ა. გვახარია**

---